ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის

ოქმი N1

დ. ხარაგაული

02.08.2024 წ.

სხდომას ესწრებოდნენ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 12 ივლისის №68.68241942 ბრძანებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრები შემდეგი შემადგენლობით:

1. მერის პირველი მოადგილე - **ვარლამ ჭიპაშვილი;**
2. მერის მოადგილე - **დავით დევდარიანი;**
3. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი - **ვლადიმერ გელაშვილი;**
4. საფინანსო-სახაზინო განყოფილების უფროსი- **ნინო მაღლაკელიძე;**
5. ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი - **პეტრე შარიქაძე;**
6. განათლების, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი - **ირინე ჩხეიძე;**
7. ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი - **ინგა ლურსმანაშვილი** ;
8. იურიდიული განყოფილების უფროსი - **მარინა კვინიკაძე;**
9. საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - **ინგა ბერაძე;**
10. საფინანსო-სახაზინო განყოფილების პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი - **ეკა დვალიშვილი;**

სამუშაო ჯგუფმა მოახდინა შემოსული საპროექტო წინადადებების პირველადი გადარჩევა. სულ შემოსული იყო 30 საპროექტო წინადადება. შემდეგ ეტაპზე კენჭისყრაზე გადავიდა 19 საპროექტო წინადადება:

1. გარე-განათების მოწყობა - სოფელი ვარძია;
2. მინი სტადიონის მოწყობა - სოფელი უჩამეთი;
3. საბავშვო სკვერის მოწყობა - სოფელი ღორეშა;
4. საჭიდაო მოედნის გადახურვა - სოფელი ვახანი;
5. სკვერის მოწყობა - სოფელი ბორითი;
6. წყაროს და მისი ტერიტორიის რეაბილიტაცია - სოფელი წიფი;
7. სპორტული სავარჯიშო ინვენტარის შეძენა-მონტაჟი, გარე განათებით - სოფელი კიცხი;
8. მინი მოედანი - სოფელი ვერტყვიჭალა;
9. სკვერის მოწყობა - სოფელი თეთრაწყარო;
10. ფიტნეს სავარჯიშოების მონტაჟი - სოფელი ნებოძირი;
11. სარგვეშის წყაროს რეაბილიტაცია - სოფელი სარგვეში;
12. სპორტული მოედნის მოწყობა - სოფელი ზვარე;

13. სკვერის მოწყობა - სოფელი საქარიქედი(მუხები);
14. ლაშის წყაროსა და სკვერის მოწყობა - სოფელი ლაშე;
15. საბაშვო სკვერი - სოფელი საღანძილე;
16. მოძრავი ასაწყობი სცენა და აპარატურა - ხარაგაულის მუნიციპალიტეტი;
17. ბავშვთა გასართობი სივრცე - სოფელი ნადაბური;
18. ღომეეთის სალოცავთან დასასვენებელი სივრცის მოწყობა - დ.ხარაგაული (ღომეეთი);
19. სკვერი - სოფელი ვახანი.

კომისიამ ასევე იმსჯელა და საპროექტო წინადადებები, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 3 ივლისის N 16 დადგენილებით, დადგენილ კრიტერიუმებთან შეუთავსებლად მიიჩნია 11 საპროექტო წინადადება:

1. 24 საათიანი სუფთა წყაროს წყალი ყველა სოფელს - სოფელი ვახანი - პროექტი ვერ აკმაყოფილებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 03 ივლისის N16 დადგენილებით დამტკიცებული „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის დებულების“ მე-9 მუხლის მოთხოვნებს, კერძოდ, საპროექტო განაცხადის ფორმა არ არის სრულყოფილად შევსებული და დასაბუთებული;
2. დასასვენებელი სკვერი - სოფელი ხიდარი - პროექტი ვერ აკმაყოფილებს ზემოთ მითითებული დებულების მე-9 მუხლის მოთხოვნებს, კერძოდ, მიწის ნაკვეთი, რომელზეც პროექტის განხორციელება იგეგმება, არ წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთრებას და წარმოადგენს სახელმწიფოს საკუთრებას;
3. ყავის დაფქვა, დასაფქვავი სივრცის მოწყობა - სოფელი ვერტყვიჭალა - პროექტი ვერ აკმაყოფილებს ზემოთ მითითებული დებულების მე-9 მუხლის მოთხოვნებს, კერძოდ, არ წარმოადგენს თვითმმართველობის საკუთარ უფლებამოსილებას;
4. საბავშვო მინი კალათბურთის და ფეხბურთის მოედნის მოწყობა - სოფელი ხევი - პროექტი ვერ აკმაყოფილებს ზემოთ მითითებული დებულების მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს, კერძოდ, მიწის ნაკვეთი, რომელზეც პროექტის განხორციელება იგეგმება, არ წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთრებას;
5. მოედნის აღდგენა - სოფელი სარგვეში - პროექტი ვერ აკმაყოფილებს ზემოთ მითითებული დებულების მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს, კერძოდ, მიწის ნაკვეთი, რომელზეც პროექტის განხორციელება იგეგმება, არ წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთრებას;
6. სპორტული მოედნის მოწყობა - სოფელი საბე - პროექტი ვერ აკმაყოფილებს ზემოთ მითითებული დებულების მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს, კერძოდ, მიწის ნაკვეთი, რომელზეც პროექტის განხორციელება იგეგმება, არ წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთრებას;

7. საბავშვო და მოზარდთა გასართობი სკვერი - სოფელი საღანძილე - პროექტი ვერ აკმაყოფილებს ზემოთ მითითებული დებულების მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს, კერძოდ, მიწის ნაკვეთი, რომელზეც პროექტის განხორციელება იგეგმება, არ წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთრებას,

ამასთან, რეგისტრირებულია სახელმწიფო საკუთრებაში და მოხვედრილია ბუფერის ზონაში;

8. საბავშვო ატრაქციონების მოწყობა - დაგეგმილია მუნიციპალიტეტის მიერ;
9. დასასვენებელი სკვერისა და სპორტულ გამაჯანსაღებელი კომპლექსის მოწყობა - სოფელი ხუნევი - პროექტი ვერ აკმაყოფილებს ზემოთ მითითებული დებულების მე-9 მუხლის მოთხოვნებს, კერძოდ, მუნიციპალიტეტს უარი ეთქვა მიწის ნაკვეთის რეგისტრაციაზე მაღალი გამავლობის ელსადენების განთავსების გამო;
10. ველვანის სერზე სკვერის მოწყობა - სოფელი ფარცხნალი - ვერ აკმაყოფილებს ზემოთ მითითებული დებულების მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის მოთხოვნებს, კერძოდ, მიწის ნაკვეთი, რომელზეც პროექტის განხორციელება იგეგმება, არ წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთრებას და რეგისტრირებულია სახელმწიფო საკუთრებაში;
11. ზედა ჩხერის სათემო თავშეყრის სივრცე - სოფელი ჩხერი - ვერ აკმაყოფილებს ზემოთ მითითებული დებულების მე-9 მუხლის მოთხოვნებს, კერძოდ, მიწის ნაკვეთი არ წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთრებას. მიწის ნაკვეთის ნაწილი რეგისტრირებულია სახელმწიფო საკუთრებად, ხოლო ნაწილზე იკვეთება კერძო პირის მფლობელობის ნიშნები (შემოღობილია).

სამუშაო ჯგუფი:

1. ვარლამ ჭიპაშვილი -
2. დავით დევდარიანი -
3. ვლადიმერ გელაშვილი -
4. ნინო მაღლაკელიძე -
5. პეტრე შარიქაძე-
6. ირინე ჩხეიძე -
7. ინგა ლურსმანაშვილი
8. მარინა კვინიკაძე -
9. ინგა ბერაძე -
10. ეკა დვალიშვილი -